21/06/2024

MES 4 24 0000726035

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - სსიპ - ქალაქ თბილისი N169 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;

შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სამოქალაქო განათლების ექსპერტი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნია გრიგალაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ქეთი მუთიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს - ქართულ-გერმანული სკოლა სხივი:
ეკა ჩიქობავა - სკოლის დირექტორი;
ნოდარ ანგურიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი.

შპს - სკოლა მილენიუმი:
გურამ ბურდილაძე - სკოლის დირექტორი

სსიპ - ქალაქ თბილისის N18 საჯარო სკოლა:
თამარ ხორავა - სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერ ტები):

შპს ქართულ-გერმანული სკოლა სხივი:

ა) ლელა ჯაში (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ირმა ავალიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) ეკა სიმსივე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) გიორგი ნებიერიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ლედი კუთხაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნინო მარღიშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,, წევრი);
თ) მარი ფალელაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) ციცინო თორია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ქეთევან ქობალია (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) მანანა როსტომაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

შპს სკოლა მილენიუმი:

ა) ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) ქეთევან რეხვიაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);

გ) ინგა ლომაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ)ხათუნა ჯიმშიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) გიორგი ნებიერიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნინო როსტომაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ნინო მარღიშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თ) მარი ფალელაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მაია ჩაჩხიანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) ლია ნეფარიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ვერა სომხიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ - ქალაქ თბილისის №18 საჯარო სკოლა:

ა) ზაზა ჭანტურია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ბ) მაგდა მიქაბერიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
გ) ეთერი ბროლაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
დ) დავით ბოლქვაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ე) ია გაგნიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვ) ნაია ენდელაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ზ) ვერა გუდაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,, წევრი);
თ) სოფიო ხვადაგიანი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ი) მზია დადვანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
კ) საბა დარსაველიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლ) ნატო ხაჭაპურიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2024 წლის 10 ივნისს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს - ქართულ-გერმანულ სკოლა სხივში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს - სკოლა მილენიუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ქალაქ თბილისის N18 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და, შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. შპს ქართულ-გერმანულ სკოლას ხივში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა ლელა ჯაშმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით, გეგმიური მონიტორინგის ვიზიტი სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის N441714 ბრძანების საფუძველზე განხორციელდა, 2024 წლის 29 აპრილს და შემოწმების ფარგლებს წარმოადგენდა მე-2 სტანდარტი (სასკოლო კურიკულუმი-ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები). დაწესებულება მდებარეობდა ქ. თბილისში, ვაკე- საბურთალოს რაიონი, დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა, ნაკვეთი 368-ში. სკოლა ახორციელებდა დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს. პროგრამების განხორციელების ენა იყო ქართული. ექსპერტის თქმით, ვიზიტის დროს სკოლაში აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენდა 314-ს.
ექსპერტმა, ლელა ჯაშმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ შპს ქართულ-გერმანული სკოლა სხივი სწავლა-სწავლების პროცესთან ერთად მოსწავლეებს სთავაზობდა სხვადასხვა შინაარსისა და ფორმატის აქტივობას, მათგან ერთ-ერთი ქართული ენის ოლიმპიადა იყო, სადაც მონაწილეობის მიღება შეეძლოთ, როგორც მოსწავლეებს, ასევე პედაგოგებს. ექსპერტმა, ასევე ისაუბრა სკოლის მიერ ორგანიზებულ STEM ფესტივალის შესახებ, რომელიც მიზნად ისახავდა საბუნებისმეტყველო საგნების მიმართ ინტერესის გაზრდას და ორგანიზებული იყო შპს ქართულ-გერმანულ სკოლა სხივსა და შპს ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე. ასევე, ექსპერტის თქმით, სკოლა მთელი სასწავლო წლის

განმავლობაში მოსწავლეებს სთავაზობდა სხვადასხვა სახის აქტივობას, მათ შორის გასვლით ღონისძიებებსა და საქველმოქმედო აქციების ორგანიზებას. ექსპერტის განმარტებით, სკოლის ძლიერ მხარეს წარმოადგენდა თანამშრომლებთან რეგულარული სამუშაო შეხვედრები, რომლის ფარგლებშიც განსახილველი საკითხები მოსწავლეთა განვითარებას შეეხებოდა. ექსპერტმა, ლელა ჯაშმა აღნიშნა, რომ სკოლის მიერ ყოველთვიურად ეწყობოდა ღონისძიება - სკოლის ღირებულებების განხილვა, რომელიც მოიცავდა საკლასო წესების შემუშავებას, თემატური პროექტების მომზადებას, პრეზენტაციას, პოსტერის შექმნას და ა.შ. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულება აქცენტს აკეთებდა მოსწავლეთა პროფესიულ ორიენტაციაზე, მათ შორის, უცხოეთის უნივერსიტეტებში სწავლის გაგრძელების ხელშეწყობის მიზნით, დასაქმებული იყო კონკრეტული პირი, რომელიც მოსწავლეებს აწვდიდა ინფორმაციას სხვადასხვა სპეციალობასთან დაკავშირებით. ლელა ჯაშის თქმით, მისი ყურადღება მიიქცია უცხოეთის უნივერსიტეტებში მიმდინარე წლის განმავლობაში გრანტით ჩარიცხული მოსწავლეების მაღალმა მაჩვენებელმა.

ექსპერტმა, ლელა ჯაშმა განმარტა, რომ მე-2 (სასკოლო კურიკულუმი-ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ლელა ჯაშმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან არ გაცემულა რეკომენდაციები, თუმცა გაიცა რამდენიმე რჩევა, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა განმარტა, რომ წარმოების ფარგლებში საგნობრივ ექსპერტებს, სხვა საკითხებთან ერთად, უნდა განეხორციელებინათ სასწავლო პროცესში გამოყენებული კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსების, ასევე, ადამიანური რესურსის (პედაგოგები) კვალიფიკაციის შესაბამისობის დადგენა მოქმედ კანონმდებლობასთან. ზემოაღნიშნული განხორციელდა ინტერვიუირების, შესყიდვების დოკუმენტაციის, თანამშრომელთა პირადი საქმეების, სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან პედაგოგების პორტირებული მონაცემების განხილვის, ასევე, იმ ფოტომასალისა და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, რომელიც ვიზიტის შემდეგ ჯგუფის ხელმძღვანელის მიერ გადაეგზავნათ ექსპერტებს.

ექსპერტმა წარადგინა შენობა-ნაგებობის შიდა და გარე პერიმეტრის ამსახველი ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ ყველა ოთახი აღჭურვილი იყო საჭირო ინვენტარით, სკოლას ჰქონდა კეთილმოწყობილი გარე და შიდა მოედანი, ჭადრაკისა და სამაგიდო თამაშების ოთახი ცალ-ცალკე.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა ექსპერტებს, დაეზუსტებინათ, რამ გამოიწვია რჩევების სიმრავლე და დამატებით, რაიმეს თქმა ხომ არ სურდათ.

ესთეტიკური აღზრდის ექსპერტმა, ლედი კუთხაშვილმა განმარტა, რომ სკოლა რეალურად ახორციელებდა ყველა საჭირო პროცესს და ატარებდა შესაბამის ღონისძიებებს, თუმცა აღნიშნული გაწერილი არ ჰქონდათ დოკუმენტაციაში და სწორედ ამ მიმართულებით გაიცა რჩევა დაწესებულების მიმართ.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა, მიმართა სკოლის წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, რა გეგმა ჰქონდათ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რჩევების გასათვალისწინებლად და როგორი იყო მათი მზაობა.

სკოლის დირექტორმა, ეკა ჩიქობავამ განმარტა, რომ სკოლას ჰქონდა მზაობა ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემული რჩევების გასათვალისწინებლად.

საბჭოს წევრი, მორის დანდურიშვილი, დაინტერესდა რატომ ჩაატარა სკოლამ მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნები მაისის თვეში.

სკოლის დირექტორმა, ეკა ჩიქობავამ აღნიშნა, რომ მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნები სკოლამ ჩაატარა მაისის თვეში და არჩეული ჰყავდათ პრეზიდენტი, რომელიც ახალი სასწავლო წლიდან დაიწყებდა დაკისრებული ფუნქციების შესრულებას. სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერმა, ნოდარ ანგურიძემ განაცხადა, რომ ახალი პრეზიდენტი მაისის თვიდან

დაიწყებდა ფუნქცია-მოვალეობების გაცნობას, პროდუქტიულად გამოიყენებდა ზაფხულის პერიოდს სხვადასხვა აქტივობის დასაგეგმად და ახალი სასწავლო წლიდან თვითმართველობის წევრები იხელმძღვანელებდნენ უკვე შემუშავებული გეგმა- გრაფიკით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 16:25
დასრულების დრო 16:35

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქართულ-გერმანული სკოლა სხივის მონიტორინგთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე-10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 27-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს - ქართულ-გერმანული სკოლა სხივის (ს/კ: 205257407) მონიტორინგთან დაკავშირებით.

2. შპს სკოლა მილენიუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა, 2024 წლის 16 და 17 მაისს. დაწესებულება მდებარეობდა ქ. რუსთავში, ბოსტან-ქალაქის ქუჩა №3-ში და ახორციელებდა ზოგადი

განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, წინა ავტორიზაციის საბჭოს განსაზღვრული მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 220 მოსწავლეს, თუმცა, დაწესებულება ახალი განაცხადით ითხოვდა 165 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 165 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ დაწესებულება მოსწავლეებს სთავაზობდა საერთაშორისო პროექტებში ჩართვის შესაძლებლობას. ჰყავდა სხვადასხვა საგრანტო კონკურსში გამარჯვებული მოსწავლეები, შემოქმედებითი უნარების განვითარების მიზნით კი, მოსწავლეებს ხელს უწყობდა მიეღოთ მონაწილეობა სკოლის გაზეთის გამოცემაში.

ექსპერტმა, ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილმა განმარტა, რომ 1-ლი (სკოლის ფილოსოფია), მე-2 (სასკოლო კურიკულუმი -ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, კომპონენტი 4.2 (მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები) კი შეფასდა როგორც „,მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“ , მე-3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) სტანდარტი შეფასებული იყო, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, გამომდინარე იქიდან, რომ 3.4 კომპონენტი (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება) შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო 3.1 (პერსონალის მართვა) კომპონენტი შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ელისო ლოლაშვილი-მერებაშვილმა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემული რეკომენდაციები და რჩევები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის შენობა-ნაგებობის შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულებას 1247.3 კვ.მ ფართი გადაცემული ჰქონდა უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, რა იყო მიზეზი იმისა, რომ სკოლა ითხოვდა მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის 165-მდე შემცირებას.

სკოლის დირექტორმა, გურამ ბურდილაძემ განმარტა, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის დაწესებულება გეგმავდა სხვა, ნაკლები ფართის მქონე შენობაში გადასვლას, შესაბამისად, ინფრასტრუქტურული რესურსიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო მომსახურების გაწევას შეძლებდნენ მხოლოდ 165 მოსწავლისთვის, მან ასევე დასძინა, რომ სკოლას უკვე დაწყებული ჰქონდა ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემული რეკომენდაციების შესრულება და რჩევების გათვალისწინება.

საბჭოს წევრი, ქეთევან ნატროშვილი დაინტერესდა, შენობის შეცვლის შემთხვევაში მოხდებოდა თუ არა მისამართის/ფართის ცვლილების შესახებ სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმირება და რა გეგმები ჰქონდა სახანძრო უსაფრთხოებისა და შენობის მდგრადობის შესახებ დასკვნის მოპოვებასთან დაკავშირებით.

სკოლის დირექტორმა, გურამ ბურდილაძემ, აღნიშნა, რომ მისამართის/ფართის ცვლილების შემთხვევაში, აუცილებლად ეცნობებოდა სსიპ -განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, ხოლო რაც შეეხებოდა ინფრასტრუქტურულ რისკებს, დაწესებულებას ჰქონდა ახალი შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ ექსპერტიზის დადებითი დასკვნა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს - სკოლა მილენიუმისავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 165 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 17:00.
დასრულების დრო: 17:10

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0

ცენტრის წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა საბჭოს, ადმინისტრაციული წარმოების ვადების გათვალისწინებით, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულიყო 2024 წლის 10 ივნისი (საბჭოს ჩატარების დღე). საბჭოს წევრებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-11 პუნქტის, 21-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შპს სკოლა მილენიუმს (ს/კ: 216373797) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 165- ით. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2024 წლის 10 ივნისი.

დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1		დაწყებითი	ქართული	ქ. რუსთავი, ბოსტან-ქალაქის ქუჩა №3

	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ. რუსთავი, ბოსტან-ქალაქის ქუჩა №3
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ. რუსთავი, ბოსტან-ქალაქის ქუჩა №3

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:**

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის სექტემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - დოკუმენტების შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები - მე-2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.

- **მონიტორინგი ცენტრის მხრიდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით:**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2026 წლის ივნისამდე 3.1; 3.4 და 4.2 კომპონენტებთან მიმართებით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება, კერძოდ, ექიმის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავების, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნებისა და შეთანხმებული უსაფრთხოების წესების წარმოდგენა. საბჭომ დაწესებულებას ასევე განუსაზღვრა რეკომენდაცია სპეციალური მასწავლებელის, ფსიქოლოგის, ენისა და მეტყველების თერაპევტის დასაქმების შესახებ.

3. სსიპ - ქალაქ თბილისის N18 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან

მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ზაზა ჭანტურიამ. ექსპერტმა, განაცხადა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა, 2024 წლის 01 და 02 მაისს. დაწესებულება მდებარეობდა ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №180-ში და ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 880 მოსწავლეს, აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 880 მოსწავლისთვის.

ექსპერტმა, ზაზა ჭანტურიამ ისაუბრა სკოლის საუკეთესო გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ სკოლაში იყო კეთილმოწყობილი გარემო, ახორციელებდა სხვადასხვა ღონისძიებას და ჰქონდა მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი. ასევე, სკოლას ჰქონდა შიდა და გარე სტადიონი, სრულად აღჭურვილი კომპიუტერული ლაბორატორია და სივრცე, სადაც ინახებოდა მოსწავლეთა ნამუშევრები.

ექსპერტმა, ზაზა ჭანტურიამ განმარტა, რომ 1-ლი (სკოლის ფილოსოფია), მე - 3 (სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და მე-4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) სტანდარტები შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, ხოლო მე-2 (სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი შეფასდა როგორც ,,მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს", გამომდინარე იქიდან, რომ კომპონენტი 2.2 შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“ ზაზა ჭანტურიამ განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემული რეკომენდაცია და რჩევები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა ექსპერტს, დაეზუსტებინა, რა იგულისხმებოდა ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემულ რჩევაში, რომ დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების ნორმების დაცვა. ექსპერტ ზაზა ჭანტურიას განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ სკოლის შენობა იყო შემოღობილი, ეზოს ჰქონდა ორი კარი, რომლითაც სარგებლობდა ადგილობრივი მოსახლეობა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას გადაადგილება ხდებოდა სკოლის ტერიტორიაზე. დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმით წარმოადგინა აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი მტკიცებულებები, კერძოდ, შემოსასვლელი კარის ჩაკეტვის დამადასტურებელი ფოტო მასალა. დაწესებულებას ასევე ჰყავდა ამ მიმართულებით უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა საჭიროდ მიიჩნია, აღნიშნული ასახულიყო რჩევის გრაფაში.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ სკოლის წარმომადგენელს მისცა რჩევა, რომ ფიზიკური უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიმართულებით გატარებულ ღონისძიებას ჰქონოდა მუდმივი ხასიათი.

საბჭოს წევრმა, ნატო გაბოშვილმა, კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, თუ რა მეთოდოლოგიას დაეყრდნო მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის დადგენისას და დაინტერესდა, რამდენი მოსწავლე ირიცხებოდა სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტის დროს.

სკოლის დირექტორმა, თამარ ხორავამ განმარტა, რომ ვიზიტის დროს სკოლაში ირიცხებოდა 679 მოსწავლე, ხოლო, რაც შეეხებოდა, მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას, მისი თქმით, სკოლას გააჩნდა შესაბამისი მატერიალური და ინფრასტრუქტურული რესურსი, რომ საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 880 მოსწავლისთვის, ერთ ცვლაში.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა, მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, დაეზუსტებინა, რა ნაბიჯების გადადგმას აპირებდა ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული რჩევების გასათვალისწინებლად.
სკოლის დირექტორმა, თამარ ხორავამ, განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან გაცემული ყველა რჩევა განხილული იყო კათედრებზე და ახალი სასწავლო წლისთვის აღნიშნული რჩევები იქნებოდა გათვალისწინებული, აქვე დასძინა, რომ სკოლას ჰყავდა ქოუჩი მასწავლებელი, რომელიც დაეხმარებოდა კურიკულუმების დახვეწაში.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ აღნიშნა, რომ 880 მოსწავლეზე საკმარისი არ იქნებოდა ერთი ექიმი და კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს რას გეგმავდა დაწესებულება ამ მიმართულებით.
სკოლის დირექტორმა თამარ ხორავამ განმარტა, რომ სკოლა შტატის დამატების მიზნით მიმართავდა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის N18 სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 880 - ით განსაზღვრის საკითხი.

ფარული კენჭისყრის მიზნით, საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.

დაწყების დრო: 17:20.
დასრულების დრო: 17:25

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის N18 საჯარო სკოლას (ს/კ: 202057932) 9 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 880 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი. დავით აღმაშენებლის გამზ. №180
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი. დავით აღმაშენებლის გამზ. №180
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი თბილისი. დავით აღმაშენებლის გამზ. №180

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

- **მონიტორინგი ექსპერტთა ჯგუფის შექმნით:**

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის სექტემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - დოკუმენტების შესწავლა;
მონიტორინგის ფარგლები - მე-2 (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.

- **მონიტორინგი ცენტრის მხრიდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვით:**

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 2025 წლის ივნისამდე 3.4 კომპონენტთან მიმართებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციის შესრულების პროგერსის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება, კერძოდ, განსაზღვროს კიდევ ერთი თანამშრომლის - ექიმის პოზიცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა 17:35 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა